ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

QUIS – უკეთესი პროდუქტი, უკეთესი მომსახურება

განხორციელების ვადა: 01.01.2024 - 31.12.2026

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 11 525 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 12 025 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH, Czech Development Agency

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/profile.php?id=100094078511377,

პროექტის ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „QUIS - უკეთესი პროდუქტი, უკეთესი მომსახურება“ მიზანია კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.
პროექტი ითვალისწინებს საქართველოში ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას და ევროპული სტანდარტების დანერგვას, თავისუფალი ბაზრის კონკურენციის გზით. ზემოთხსენებული ეხმიანება ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის გაუმჯობესებას.
პროგრამას ახორციელებს გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან (CzDA) ერთად. ინიციატივის ფარგლებში მოხდება ხარისხის ინფრასტრუქტურის (QI) განვითარება და კერძო სექტორის მხარდაჭერა ევროპული სტანდარტების დანერგვის უზრუნველსაყოფად.

პროექტი ითანამშრომლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და შემდგომ უწყებებთან: საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო.

მოსალოდნელი შედეგები:

- პროდუქტის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება: ბიზნეს ასოციაციებისა და მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების გაძლიერება და ამ გზით ევროპულ რეგულაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მცირე და საშუალო მწარმოებლების პროდუქტის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება: ევროპული რეგულაციებისა და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების, ლაბორატორიებისა და ბიზნეს სერვისების მომწოდებელი ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა.
- ცნობიერების ამაღლება: მომხმარებლებისა და კერძო სექტორის ინფორმირება სახელმწიფო რეგულაციების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემაში არსებული კერძო და საჯარო ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების შესახებ.
- მარეგულირებელი და პოლიკიტის ჩარჩოს ოპტიმიზაცია: ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ევროკავშირისა და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. ამავდროულად, ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურის პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების სფეროს კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.
- ინოვაციისა და ტექნოლოგიის ხელშეწყობა: კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით, ხარისხის მართვის პროცესებში ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ფინანსური დახმარების მექანიზმების